ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №23
(საქონლის შესყიდვა)

ქალაქი ფოთი

7 აგვისტო 2017 წელი

1. ხელშეკრულების მხარეები

ერთის მხრივ, ა(ა)იპ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სასაფლაოების მოვლა–პატრონობის ცენტრი შემდეგში „შემსყიდველი", მისი დირექტორის გრიგოლ ლიფონავას სახით და მეორეს მხრივ, შპს „მაკო"-ს მისი დირექტორის ნინო ციცქარავას სახით, შემდეგში „მიმწოდებელი" - ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

„გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე, დებენ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში „ხელშეკრულება"). შესაბამისად, საქონლის შესყიდვა შეიძლება განხორციელდეს თუ შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების ღირებულება არ აღემატება 5 000 ლარს.

„შემსყიდველი" ა(ა)იპ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სასაფლაოების მოვლა–პატრონობის ცენტრის 2017 წლის საკუთარი სახსრებით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შეისყიდის, ხოლო „მიმწოდებელი" გაუწევს ექსკავატორით მომსახურებას (შემდეგში „მომსახურება").

2. ხელშეკრულების ობიექტის დასახელება, კლასიფიკატორის კატეგორია

2.1 შესყიდვის კატეგორია - 77100000-სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული მომსახურებები
2.2 შესყიდვის საშუალება – გამარტივებული შესყიდვა.
2.3 კლასიფიკატორის (CPV)-კოდი-77111000- სასოფლო-სამეურნეო მანქანების დაქირავება ოპერატორთან ერთად
2,4.შესყიდვის ობიექტის დასახელება-ექსკავატორი-ბორბლიანი (მარკა D,IFEMEC, D2 Wheeled Excavtor, მოდელი D, 3860, ფერი ყვითელი 3/8) 1 დღით.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 500(ხუთასი) ლარს, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადებისა და სხვა ხარჯების ჩათვლით

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და პირობები

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადებია შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად 10(ათი) დღის განმავლობაში.

4.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად (ეტაპობრივი მიწოდება), მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველის უფლებამოსილ პირს, შესაბამისი დოკუმენტაცია (მიღება-ჩაბარების აქტი, სასაქონლო ზედნადები და სხვა).

5. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

5.1 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს ამ სფეროში არსებულ, საქართველოში მოქმედ სტანდარტებს, ხელშეკრულების პირობებს და შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

6. ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა

6.1 ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა განისაზღვრება, ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით.

7. შესყიდვის ობიექტის ანგარიშსწორების ფორმა და მიღება-ჩაბარების წესი

7.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე. მიღება-ჩაბარების აქტს ხელს აწერს ა(ა)იპ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სასაფლაოების მოვლა–პატრონობის ცენტრი შემდეგში „შემსყიდველი", მისი დირექტორი.

7.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება - ლარებში.

7.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით – (გადარიცხვა).

7.4 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება მოწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუმეტეს 20 (ოცი) საბანკო დღის განმავლობაში.

8. ფორს-მაჟორი

8.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ადგილობრივი ბიუჯეტის დეფიციტი, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

8.2 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

9. სხვა პირობები

9.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ა(ა)იპ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სასაფლაოების ცენტრის დირექტორი.

9.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან ერთი – მიმწოდებელთან, ერთი – შემსყიდველთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

9.3 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

9.4 აღნიშნული ხელშეკრულებით გაუთვალისწინებული საკითხები რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით.

10. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი"

ა(ა)იპ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის
სასაფლაოების მართვა–ბატონობის
ცენტრალიზებული სააგენტო

ბ.ლიფონავა

ს/კ № 415092919
სახელმწიფო ხაზინა
მის: ქ. ფოთი ჭანტურიას N3

„მიმწოდებელი"

შპს „მაკო"-ს
დირექტორი:

ნ.ციცქარავა

სს „თიბისი ბანკი " ბ/კ TBCBGE22
ს/კ 415094007
ა/ა GE20TB7872936020100001
მის.ქ.ფოთი ფარნავაზ მეფის N1 ბ.77

მიღება– ჩაბარების აქტი

ქ.ფოთი

9 აგვისტო 2017 წელი

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხვრივ ა(ა)იპ ქ.ფოთის მუნიციპალიტეტის სასაფლაოების მოვლა–პატრონობის ცენტრი (დამკვეთად წოდებული), მისი დირექტორის გრიგოლ ლიფონავას სახით, ხოლო მეორე მხრივ შპს ,,მაკო" (შემდგომში მიმწოდებლად წოდებული) მისი დირექტორის ნინო ციცქარავას სახით 2017 წლის 7 აგვისტოს № 23 ხელშეკრულების შესაბამისად ვადგენთ აქტს, რომლის მიხედვითაც ,,ჩამბარებელმა" გაუწია მომსახურება, ხოლო ,,მიმღებმა" მიიღო შესრულებული სამუშაო რომლის საერთო ღირებულება შეადგენს 500 (ხუთასი) ლარს დღგ–ს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

მხარეებს ერთმანეთის მიმართ პრეტენზია არ გაგვაჩნია, რაც დასტურდება ხელმოწერით.

,,მიმწოდებელი"

,,შემსყიდველი"

შპს ,,მაკო"
ს/კ 415094007
ქ.ფოთი ფარნავაზ მეფის 1 ბ.77

ა(ა)იპ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის
სასაფლაოების მოვლა–პატრონობის ცენტრი
ქ.ფოთი , ჭანტურიას №3
ს/კ 415092919

დირექტორი : ნ.ციცქარავა

დირექტორი: გ.ლიფონავა